amaze

განათლება ადამიანის სექსუალობის შესახებ- გაკვეთილის გეგმა AMAZE ანიმაციური ვიდეო რესურსების გამოყენებით

*საგაკვეთილო გეგმები თარგმნილია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების რესურსიდან და ადაპტირებულია ასოციაცია **HERA XXI**-ის მიერ*

გენდერული

სტერეოტიპები



ჰერა HERA XXI amaze Advocates for Youth Rights. Respect. Responsibility. unesco UNFPA

გაკვეთილის შესახებ...

წინამდებარე გაკვეთილის გეგმა ერთ-ერთია იმ ნაკრებიდან, რომელიც მოიცავს ცხრა ინდივიდუალურ გაკვეთილის გეგმას, და რომელიც განკუთვნილია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სკოლებსა ან არასასკოლო გარემოში ადამიანის სექსუალობის შესახებ ყოვლისმომცველი განათლების მიწოდების მხარდასაჭერად. წინამდებარე გაკვეთილის გეგმები ითვალისწინებს „AMAZE"-ის მიერ შექმნილი და გაკვეთილის გეგმასა და თემასთან დაკავშირებული საგანმანათლებლო ვიდეოების გამოყენებას; გარდა ამისა, შესაძლებელია მოცემული მასალების ჩართვა ადამიანის სექსუალობის შესახებ ყოვლისმომცველი განათლების ფარგლებში დამტკიცებულ გაკვეთილის გეგმებში ან მათი გამოყენება დამატებითი რესურსების სახით.

საუკეთესო შემთხვევაში, ადამიანის სექსუალობის შესახებ ყოვლისმომცველი განათლების სფეროში ნებისმიერი კონკრეტული თემის შესწავლა მოსწავლეებს შეძენილი ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების განვითარების, გამოყენებისა და პრაქტიკაში დანერგვის შესაძლებლობას აძლევს. წინამდებარე გაკვეთილის გეგმები ნიმუშის ფორმით არის შედგენილი და სწავლის მხოლოდ რამდენიმე ძირითად შედეგს მოიცავს, რადგან ჩვენ ვაცნობიერებთ და ვაღიარებთ, რომ ერთი გაკვეთილი ხშირად არ არის საკმარისი სწავლის რომელიმე შედეგის მისაღწევად ან ერთზე მეტი სასწავლო სფეროს მოსაცავად. რეკომენდებულია მასწავლებლებმა დაგეგმონ და ჩაატარონ დამატებითი გაკვეთილები, რომელთა მიზანსაც წარმოადგენს ადამიანის სექსუალობის შესახებ ყოვლისმომცველი განათლების უზრუნველსაყოფად შემუშავებული მოცემული გაკვეთილების ფარგლებში დამუშავებული თემების განმტკიცება და სწავლის დასახული შედეგების სრულყოფილი მიღწევა. ამ მიზნით მათ შეუძლიათ ისარგებლონ როგორც საკლასო ასევე არასაკლასო გარემოში არსებული შესაძლებლობებით, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს უკეთ გააცნობიერონ მათი დამოკიდებულებები და დახვეწონ და პრაქტიკაში დანერგონ შეძენილი უნარები.

amaze

გენდერული სტერეოტიპები

amaze განათლება ადამიანის სექსუალობის შესახებ

გაკვეთილის გეგმა

ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების საერთაშორისო ტექნიკური სახელმძღვანელო

ძრითადი ცნება 1: გენდერი

- თემა 3.1: გენდერის სოციალური სტრუქტურა და გენდერული ნორმები
  ასაკობრივი ჯგუფი: 9-12

წინაპირობა

მოსწავლეები ფლობენ ცოდნას რეპროდუქციული ორგანოების ანატომიის შესახებ, ერთმანეთისგან განსხვავებენ გენდერსა და სქესს და იციან, რომ ისინი განპირობებულია ბევრი სხვადასხვა ფაქტორით

სამიზნე ასაკობრივი ჯგუფი

მე-3-4 კლასის მოსწავლეები (8-9 წელი)
მე-7-9 კლასის მოსწავლეები (ასაკი 12-14 წელი)

გაკვეთილის ხანგრძლივობა

45 წუთი

გაკვეთილისთვის მზადება:

- ამობეჭდეთ საშინაო დავალებისთვის განკუთვნილი მასალა: „ვსაუბრობთ გენდერულ სტერეოტიპებზე“ - ერთი ეგზემპლარი თითოეული მოსწავლისთვის
- ასოციაცია „HERA XXI”-ის YouTube არხზე მოიძიეთ AMAZE-ს ვიდეომასალა სახელწოდებით „გენდერული როლები და სტერეოტიპები“, რათა გაეცნოთ მის შინაარსს და დარწმუნდეთ, რომ კომფორტულად იგრძნობთ თავს კლასში მოსწავლეებისათვის მისი ჩვენებისას
- წინასწარ ჩართეთ ვიდეო „YouTube“-ზე და ნახეთ იგი სრულად, რათა დარწმუნდეთ, რომ იგი მზადაა გაკვეთილის მსვლელობისას ჩვენებისათვის, ხარვეზებისა და რეკლამების გარეშე, ან ჩამოტვირთეთ ვიდეო გაკვეთილის მსვლელობისას მისი გამოყენებისათვის. შეგიძლიათ ისარგებლოთ „YouTube“-ზე ვიდეოს ჩვენების სიჩქარის რეგულირების ფუნქციით, თქვენი მოსწავლეების საჭიროებებზე მისი მაქსიმალურად მორგების მიზნით

საჭირო მასალები:

- ინტერნეტთან დაკავშირებული კომპიუტერი და ხმის გამაძლიერებელი
- LCD პროექტორი და ეკრანი
- ვიდეოს ბმული: https://youtu.be/9sVktOBVXEA?si=PsQoK8sSYwCLwNph
- დაფა და ორი სხვადასხვა ფერის ცარცი
- საშინაო დავალებისთვის განკუთვნილი მასალა: „ვსაუბრობთ გენდერულ სტერეოტიპებზე“ - ერთი ეგზემპლარი თითოეული მოსწავლისთვის

ასოციაცია „HERA XXI”-ის მიერ ნათარგმნი AMAZE-ს თემატური ვიდეოები
სომხურ ენაზე: https://youtu.be/pf4HIuEaWwo?si=8rKy7kJly5zlAtEb
აზერბაიჯანულ ენაზე:https://youtu.be/SJlzCW62NEw?si=Io-OSGtoGCWMN3gp



სწავლის ამოცანები:

გაკვეთილის შემდეგ მოსწავლეები შეძლებენ:

1. **განმარტონ რას ნიშნავს გენდერული სტერეოტიპები.** (ცოდნა)
2. **დაასახელონ სულ მცირე ორი გენდერული სტერეოტიპი, რომლებიც უკავშირდება გოგონებს და სულ მცირე ორი გენდერული სტერეოტიპი, რომლებიც უკავშირდება ბიჭებს.** (ცოდნა)
3. **გამოიკვლიონ რა ზიანის მოტანა შეუძლია გენდერულ სტერეოტიპებს.** (ცოდნა)
4. **გააცნობიერონ, რომ გენდერული როლები იცვლება დროთა განმავლობაში.** (დამოკიდებულება)

amaze *განათლება ადამიანის სექსუალობის შესახებ*
გაკვეთილის გეგმა

PROCEDURE:

ეტაპი 1

გააცანით მოსწავლეებს გაკვეთილის თემა და აუხსენით მათ: „დღეს ჩვენ ვისაუბრებთ ბიჭებთან და გოგონებთან ხშირად ასოცირებულ სტერეოტიპებზე (რომლებიც ცნობილია გენდერული სტერეოტიპების სახელწოდებით), იმაზე, თუ როგორ ზემოქმედებს ეს სტერეოტიპები ჩვენზე და როგორ იცვლება ისინი დროთა განმავლობაში. ვის შეუძლია მითხრას რას ნიშნავს სიტყვა „სტერეოტიპი“? მას შემდეგ, რაც მოსწავლეები საკუთარ განმარტებებს მოგაწვდიან, მადლობა გადაუხადეთ მათ პასუხებისთვის და გაუზიარეთ მოსწავლეებს „სტერეოტიპის“ განმარტება, რომელიც რეკომენდებულია დაწეროთ დაფაზე: „სტერეოტიპი ნიშნავს კონკრეტული ტიპის ადამიანებისა ან საგნების შესახებ დამკვიდრებულ წარმოდგენასა ან მოსაზრებას“; დამატებით, აუხსენით მოსწავლეებს, რომ „გენდერული სტერეოტიპი წარმოადგენს ადამიანების შესახებ მათი სქესის საფუძველზე - ანუ ბიჭებისა და გოგონების შესახებ - დამკვიდრებულ წარმოდგენასა ან მოსაზრებას“.

შენიშვნა მასწავლებლებისათვის: მოსწავლეებმა შესაძლებელია „სტერეოტიპის“ განმარტების ნაცვლად, მისი მაგალითები მოიყვანონ. შეგიძლიათ განუცხადოთ მათ, რომ მათი პასუხები „სტერეოტიპების“ საუკეთესო მაგალითებს წარმოადგენს, და შეეცადოთ მოსწავლეებმა თავად განაზოგადონ მაგალითები და „სტერეოტიპის“ მათეული განმარტება ჩამოაყალიბონ მანამ, სანამ მათ თქვენ მიაწვდით „სტერეოტიპის“ განმატრებას.

დაუსვით მოსწავლეებს შემდეგი კითხვა: „როდესაც ბავშვი იბადება, რა არის ის პირველი კითხვა, რომელსაც ადამიანები სვამენ?“ შეეცადეთ მოსწავლეებისგან მიიღოთ შემდეგი პასუხი: „ბიჭია თუ გოგო?“. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები ამ პასუხს მოგაწვდიან, ჰკითხეთ მათ: „და ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, ბავშვის სხეულის რომელ ნაწილს ვაკვირდებით, ცხვირს?“. თუ მოსწავლეები ამ კითხვაზე პასუხის გაცემას არ ჩქარობენ, რადგან თავს უხერხულად გრძნობენ (მათ, რა თქმა უნდა, იციან ამ კითხვაზე პასუხი, რასაც ადასტურებს ის, რომ ისინი ხითხითს ატეხენ, თუმცა პასუხის გაცემისგან თავს იკავებენ), უთხარით მათ: „ჩვენ ვაკვირდებით ბავშვის სხეულის კონკრეტულ ნაწილს. გახსოვთ, როდესაც სქესობრივი მომწიფების პერიოდს განვიხილავდით და ვმსჯელობდით გოგონებისა და ბიჭების სხეულების მსგავს და განსხვავებულ ნაწილებზე? მოკლედ, თუ ბავშვს სასქესო ასო აქვს, ვამბობთ, რომ „ის ბიჭია!“, ხოლო თუ ბავშვს საშო აქვს, ვამბობთ, რომ „ის გოგოა!“.

(6 წუთი)

ეტაპი 2

შემდეგ მიმართეთ მოსწავლეებს: „წარმოიდგინეთ, რომ დედამიწას კოსმოსიდან უცხოპლანეტელთა გუნდი ეწვია, რომლებსაც სურთ შეისწავლონ ადამიანები. მათ აინტერესებთ შეისწავლონ ბიჭები (დაწერეთ სიტყვა „ბიჭი“ დაფაზე და ქვემოთ დახაზეთ მოგრძო გრაფა). როგორ აღუწერდით ბიჭს მათ, ვინც ჩვენს პლანეტას არ იცნობს და არასდროს შეხვედრია ბიჭს?“.

სთხოვეთ მოსწავლეებს ადგილებიდან პასუხებით დაასრულონ თქვენ მიერ დაწყებული წინადადება: „ბიჭი არის...“; ამასთან, უთხარით მოსწავლეებს, რომ არა აქვს მნიშვნლობა, როგორ ჩამოაყალიბებენ ისინი თავიანთ პასუხებს. მოსწავლეების ყველა პასუხი დაფაზე დახაზულ გრაფაში ჩაწერეთ. ამავე დროს, ყოველ ჯერზე იმეორეთ: „ბიჭი არის...“, და შეეცადეთ რაც შეიძლება მეტი პასუხი მოიპოვოთ მოსწავლეებისაგან. გააგრძელეთ აქტივობა მანამ, სანამ გრაფას სრულად არ შეავსებთ მოსწავლეებისაგან მიღებული პასუხებით.

amaze განათლება ადამიანის სექსუალობის შესახებ
გაკვეთილის გეგმა

მადლობა გადაუხადეთ მოსწავლეებს, გრაფის შევსებაში მათ მიერ შეტანილი წვლილისთვის და უთხარით მათ: „უცხოპლანეტელები კმაყოფილი არიან იმ ინფორმაციით, რომელიც მათ თქვენ მიაწოდეთ ბიჭების შესახებ; თუმცა მათ კიდევ აქვთ შესაგროვებელი ინფორმაცია, ვიდრე თავის პლანეტაზე დაბრუნდებოდნენ. მათ ასევე აინტერესებთ ინფორმაცია გოგონებზე (დაწერეთ სიტყვა „გოგონა“ დაფაზე და ქვემოთ დახაზეთ მოგრძო გრაფა). როგორ აღუწერდით გოგონას მათ, ვინც ჩვენს პლანეტას არ იცნობს და არასდროს შეხვედრია გოგონას?“. სთხოვეთ მოსწავლეებს ადგილებიდან პასუხებით დაასრულონ თქვენ მიერ დაწყებული წინადადება: „გოგონა არის...“; ამასთან, უთხარით მოსწავლეებს, რომ არა აქვს მნიშვნლობა, როგორ ჩამოაყალიბებენ ისინი თავიანთ პასუხებს. მოსწავლეების ყველა პასუხი დაფაზე დახაზულ გრაფაში ჩაწერეთ. ამავე დროს, ყოველ ჯერზე იმეორეთ: „გოგონა არის...“, და შეეცადეთ რაც შეიძლება მეტი პასუხი მოიპოვოთ მოსწავლეებისაგან. გააგრძელეთ აქტივობა მანამ, სანამ გრაფას სრულად არ შეავსებთ მოსწავლეებისაგან მიღებული პასუხებით და გოგონების მახასიათებელთა რაოდენობა ბიჭების მახასიათებელთა რაოდენობას არ გაუთანაბრდება.

მადლობა გადაუხადეთ მოსწავლეებს გრაფის შევსებაში მათ მიერ შეტანილი წვლილისთვის და უთხარით მათ: „უცხოპლანეტელები კმაყოფილი არიან იმ ინფორმაციით, რომელიც მათ თქვენ მიაწოდეთ და ახლა მშვიდობიანად მიეშურებიან საკუთარი პლანეტისკენ“

(12 წუთი)

ეტაპი 3

სთხოვეთ მოსწავლეებს დააკვირდნენ ორივე ჩამონათვალს. ჰკითხეთ მათ: „რა შეამჩნიეთ, ამ ორ ჩამონათვალში?“

შენიშვნა მასწავლებლებისათვის: ვინაიდან ამ ჩამონათვალის ავტორები მხოლოდ მოსწავლეები არიან, ყოველ ჯერზე, როდესაც ამ აქტივობას მოსწავლეების სხვადასხვა ჯგუფის მონაწილეობით გადიხართ, მოცემულ კითხვაზე პასუხები განსხვავებული იქნება. ვინაიდან, შესაძლებელია რომელიმე სქესის წარმომადგენლების მახასიათებლები მხოლოდ დადებითი იყოს, და მეორე სქესის წარმომადგენლების მახასიათებლები მხოლოდ უარყოფითი, ან შესაძლებელია ორივე სქესის წარმომადგენლების დახასიათება თანაბრად შეიცავდეს როგორც დადებით ასევე უარყოფით მახასიათებლებს.

მოსწავლეთა პასუხს ამ კითხვაზე განაპირობებს ორივე ჩამონათვალში შესული კომპონენტები. მაგალითად, „გოგონების ჩამონათვალში ჭარბობს უარყოფითი მახასიათებლები, ხოლო ბიჭების ჩამონათვალში - დადებითი“, ან „ბიჭების ჩამონათვალში ყურადღება გამახვილებულია _____, ხოლო გოგონების ჩამონათვალში _____“. მას შემდეგ, რას მოსწავლეები საკუთარ მოსაზრებებს გამოთქვამენ, დაუსვით მათ შემდეგი კითხვა: „ამ ორივე ჩამონათვალში შეგიძლიათ გენდერული სტერეოტიპების იდენტიფიცირება, ანუ იმ მოსაზრებებისა თუ შეხედულებების, რომლებიც ადამიანებს გააჩნიათ პირის შესახებ, იმის საფუძველზე გოგონაა იგი თუ ბიჭი?“. მოსწავლეები შეძლებენ ორივე ჩამონათვალში გენდერული სტერეოტიპების იდენტიფიცირებას.

დაუსვით შემდეგი კითხვა მოსწავლეებს: „როგორ ზემოქმედებს ბიჭებთან დაკავშირებული გენდერული სტერეოტიპები ბიჭებზე, და გოგონებზე? არის თუ არა ბიჭების მახასიათებლებში ისეთი რამ, რაც შეიძლება გოგონებსაც ახასიათებდეს?". ამის მაგალითი შეიძლება იყოს „სპორტული აღნაგობა“. ჰკითხეთ მოსწავლეებს: „შესაძლებელია გოგონა იყოს [სპორტული აღნაგობის; მხიარული; ძლიერი]?” მოსწავლეები, სავარაუდოდ, ამ კითხვაზე დადებით პასუხს გაგცემენ.

amaze *განათლება ადამიანის სექსუალობის შესახებ*
გაკვეთილის გეგმა

დაუსვით შემდეგი კითხვა მოსწავლეებს: „როგორ ზემოქმედებს გოგონებთან დაკავშირებული გენდერული სტერეოტიპები გოგონებზე, და ბიჭებზე? არის თუ არა გოგონების მახასიათებლებში ისეთი რამ, რაც შეიძლება ბიჭებსაც ახასიათებდეს?“. ამის მაგალითი შეიძლება იყოს „მგრძნობიარე“. ჰკითხეთ მოსწავლეებს: „შესაძლებელია ბიჭი იყოს [მგრძნობიარე; მოსიყვარულე; მტირალა]?” მოსწავლეები, სავარაუდოდ, ამ კითხვაზე შერეულ პასუხებს გაგცემენ; გოგონები, დიდი ალბათობით, აღნიშნავენ, რომ ბიჭებს შეუძლიათ საკუთარი განცდები სხვადასხვა გზით გამოხატონ; მაშინ როცა, ბიჭები, დიდი ალბათობით აღნიშნავენ, რომ ბიჭები ასე არ უნდა იქცეოდნენ და ა.შ.

დაუსვით შემდეგი კითხვა მოსწავლეებს: „რა სიტუაციაში არიან ბიჭები, რომლებიც შეიძლება მათთან დაკავშირებული სტერეოტიპებისგან განსხვავებულ მახასიათებლებს ფლობდნენ? როგორია მათდამი საზოგადოების დამოკიდებულება?“. „რა სიტუაციაში არიან გოგონები, რომლებიც შეიძლება მათთან დაკავშირებული სტერეოტიპებისგან განსხვავებულ მახასიათებლებს ფლობდნენ? როგორია მათდამი საზოგადოების დამოკიდებულება?“. „რა სიტუაციაში არიან ლგბტქ პირები? როგორია მათდამი საზოგადოების დამოკიდებულება?“. „არიან ადამიანები, რომელთა მიმართაც საზოგადოებას განსხვავებული დამოკიდებულება აქვს, ვინაიდან ისინი არ ამართლებენ იმ მოლოდინებს, რომლებიც არსებობს გოგონების ან ბიჭების მიმართ?“.

(15 წუთი)

შენიშვნა მასწავლებლებისათვის: თუ მოსწავლეები იყენებენ შეუსაბამო ან უცენზურო ლექსიკასა ან იუმორს, რომელიც ლგბტქ პირებს უკავშირდება, საჭიროა მათი შეჩერება; სთხოვეთ მოსწავლეებს შეწყვიტონ ამგვარი საუბარი და აუხსენით მათ, რომ ასეთი მეტყველება მიუღებელი და ზიანის მომტანია, და გაესაუბრეთ ამ მოსწავლეებს მათ მიერ გამოვლენილი არასათანადო ქცევის შესახებ, გაკვეთილის შემდეგ. დაარწმუნეთ მოსწავლეები, რომ გენდერული სტერეოტიპები შეიძლება იყოს საზიანო და რომ ყველა ადამიანს უნდა შეეძლოს გამოხატოს საკუთარი თავი ისე, როგორ მას სურს და რასაც იგი განიცდის, და ჩაერთოს ისეთ საქმიანობაში, რომელიც მას სიამოვნებას ანიჭებს, განურჩევლად მისი სქესისა და იმისა, წარმოადგენს თუ არა იგი ლგბტქ პირს.

ეტაპი 4

ამის შემდეგ, შესთავაზეთ მოსწავლეებს იმუშაონ წყვილებში, რა დროსაც თითოეულმა წყვილმა უნდა იმსჯელოს და შეთანხმდეს ერთ სტერეოტიპზე, რომელმაც, მათი აზრით, ცვლილება განიცადა დროთა განმავლობაში. დაახლოებით 5 წუთის შემდეგ, სთხოვეთ მოხალისე მოსწავლეებს კლასის წინაშე დაასახელონ ის სტერეოტიპი, რომელიც მათ მეწყვილეებთან ერთად განიხილეს და გააცნონ თანატოლებს, რა ცვლილება განიცადა ამ სტერეოტიპმა.

(8 წუთი)

ეტაპი 5

გაკვეთილის დასასრულს აღნიშნეთ, რომ გენდერული სტერეოტიპები წარმოადგენს საზოგადოებაში დამკვიდრებულ წარმოდგენებსა და შეხედულებებს ადამიანების შესახებ, მათი სქესის (გენდერის) საფუძველზე, ანუ იმის საფუძველზე, ბიჭია იგი თუ გოგო. რიგ შემთხვევაში, აღნიშნული სტერეოტიპები სიმართლეს შეესაბამება, თუმცა ზოგ შემთხვევაში ისინი საზიანოა (რეკომენდებულია ამ ეტაპზე იმ საზიანო გენდერული სტერეოტიპების მაგალითების მოყვანა, რომლებიც მოსწავლეებმა თავად დაასახელეს). ყველა ბიჭს და გოგონას უნდა შეეძლოს იყოს ის ვინც არის, და არა გამოავლინოს კონკრეტული ქცევა მხოლოდ იმიტომ, რომ ის გოგოა ან ბიჭი; გენდერული სტერეოტიპები დროთა განმავლობაში იცვლება.

(2 წუთი)

amaze *განათლება ადამიანის სექსუალობის შესახებ გაკვეთილის გეგმა*

შენიშვნა მასწავლებლებისათვის: ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა, რომელიც შეგიძლიათ დაუსვათ მოსწავლეებს გოგონებისა და ბიჭების მახასიათებლების განხილვისას არის: „რატომ არის ეს ასე?“. როდესაც სთხოვთ მათ დაფიქრდნენ იმაზე, რაც მათ ჩამონათვალში შეიტანეს, თქვენ ეხმარებით მათ, დაუპირისპირდნენ გენდერულ ნორმებს, რომლებიც მათ ადრეული ასაკიდან აქვთ ნასწავლი. გარდა ამისა, შესაძლოა თავი იჩინოს ასევე დასწავლილმა ჰომოფობიამ – განსაკუთრებით ბიჭებს შორის, რომლებიც შეეცდებიან ამტკიცონ, რომ თუ ბიჭს აქვს მახასიათებელი, რომელიც მათ გოგონების მახასიათებელთა სიაში შეიტანეს, ამ შემთხვევაში ბიჭი არის „გეი“. კიდევ ერთხელ, დაუპირისპირდით ამ იდეას კითხვით: "რატომ?" და ჰკითხეთ მათ, რატომ არ თქვეს იგივე გოგონებზე, რომლებსაც ბიჭების მახასიათებლების ჩამონათვალში შესული თვისება გააჩნიათ.

ეტაპი 6

აუხსენით მოსწავლეებს, რას გულისხმობს საშინაო დავალება: მათ უნდა უყურონ მოკლე ანიმაციას, რომელიც გენდერულ როლებსა და სტერეოტიპებს ეხება და უპასუხონ სამუშაო ფურცელზე მოცემულ კითხვებს.

(2 წუთი)

amaze *განათლება ადამიანის სექსუალობის შესახებ*

გაკვეთილის გეგმა

ძირითადი დასკვნები:

- გენდერული სტერეოტიპები წარმოადგენს საზოგადოებაში დამკვიდრებულ წარმოდგენებსა და შეხედულებებს ადამიანების შესახებ, მათი სქესის (გენდერის) საფუძველზე, ანუ იმის საფუძველზე ბიჭია იგი თუ გოგო.
- გენდერული სტერეოტიპები შესაძლოა საზიანო იყოს და ყველა ბიჭს და გოგონას უნდა შეეძლოს იყოს ის, ვინც არის, და არ გამოავლინოს კონკრეტული ქცევა მხოლოდ იმიტომ, რომ ის გოგოა ან ბიჭი.
- ნებისმიერ ადამიანს შეუძლია საკუთარი წვლილი შეიტანოს საზიანო გენდერული სტერეოტიპების ცვლილებაში.
- გენდერული როლები დროთა განმავლობაში იცვლება და ნებისმიერ ადამიანს შეუძლია საკუთარი წვლილი შეიტანოს ამ როლების ცვლილებაში, რასაც ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, თუ უფრო და უფრო მეტი ადამიანი იქნება ნაკლებად შეზღუდული გენდერული სტერეოტიპებით და შეძლებს მოიქცეს ისე, როგორც მას კარნახობს ის, ვინც სინამდვილეში არის.

სწავლის ამოცანების მიღწევის შეფასება გაკვეთილის დასრულების შემდგომ:

გაკვეთილის ბოლოს დაურიგეთ მოსწავლეებს სამუშაო ფურცლები: „გენდერული სტერეოტიპები“ და სთხოვეთ მათ უპასუხონ კითხვებს და, საკლასო ოთახიდან გასვლისას, ჩაგაბარონ შევსებული სამუშაო ფურცლები.

დისტანციურად ჩატარებისთვის გაკვეთილის ადაპტირებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები

გაკვეთილის დისტანციურად ჩატარებისთვის შეგიძლიათ ისარგებლოთ შემდეგი ციფრული პლატფორმებით: Google Classroom ან Zoom და გენდერული სტერეოტიპების ჩამონათვალის გასაკეთებლად შეგიძლიათ ისარგებლოთ ინსტრუმენტით - Jamboard.

საშინაო დავალება (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

დაურიგეთ მოსწავლეებს მათთვის განკუთვნილი სამუშაო ფურცლები: „ვსაუბრობთ გენდერულ სტერეოტიპებზე“, რომელიც მათ უნდა შეავსონ უფროსი ასაკის სანდო პირთან ერთად, გადმოსცენ მასში საკუთარი შთაბეჭდილებები ვიდეო მასალაზე და უპასუხონ გენდერულ სტერეოტიპებთან დაკავშირებულ კითხვებს.

სასარგებლო მასალები

- სექსუალობის ბორბალი-http://forparents.ge/seqsualobis-borbali/
- ღირებულებები, უფლებები, კულტურა და სექსუალობა-http://forteachers.ge/temis-mixedvit/%e1%83%a6%e1%83%98%e1%83%a0%e1%83%94%e1%83%91%e1%83%a3%e1%83%9a%e1%83%94%e1%83%91%e1%83%94%e1%83%91%e1%83%98-%e1%83%a3%e1%83%a4%e1%83%9a%e1%83%94%e1%83%91%e1%83%94%e1%83%91%e1%83%98-%e1%83%99/
- გენდერი და გენდერული თანასწორობა- http://forparents.ge/informacia-temis-mixedvi/genderi-da-genderuli-tan/

ვსაუბრობთ გენდერულ სტერეოტიპებზე

პრაქტიკაში დანერგვა

სახელი, გვარი: _____

თარიღი: _____

უფროსი ასაკის სანდო პირის ხელმოწერა: _____

უფროსი ასაკის სანდო პირთან ერთად უყურეთ „AMAZE"-ის ორწუთიან ვიდეოს სახელწოდებით: "გენდერული როლები და სტერეოტიპები": https://youtu.be/9sVktOBVXEA?si=PsQoK8sSYwCLwNph . განიხილეთ ვიდეო ერთად, ერთმანეთისთვის შემდეგი კითხვების დასმით:

- **მოგეწონათ ვიდეო, რატომ?**
- **რაზე დაგაფიქრათ ვიდეომ?**
- **რა განცდები დაგეუფლათ ვიდეოს ყურების დროს?**

ვიდეოს განხილვის შემდეგ, ერთად უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

კითხვა 1: როგორ შეაფასებდით ვიდეოს და როგორია თქვენი რეაგირება ვიდეოზე?

მოსწავლე:

_____

_____

_____

_____

უფროსი ასაკის პირი:

_____

_____

_____

_____

კითხვა 2: უფროსი ასაკის პირისთვის - თქვენი მოზარდობის პერიოდში, რომელი გენდერული როლი დომინირებდა, რომელიც შეიცვალა ან რომელიც აღარ დომინირებს?

უფროსი ასაკის პირი:

_____

_____

_____

_____

კითხვა 3: რომ შეგეძლოთ ერთი გენდერული როლის შეცვლა, რომელიც დღესდღეისობით არსებობს, რომელი გენდერული როლი იქნებოდა ეს, და რას მოიმოქმედებდით მის შესაცვლელად?

მოსწავლე:

_____

_____

_____

_____

უფროსი ასაკის პირი:

_____

_____

_____

_____

სამუშაო ფურცელი:

გენდერული სტერეოტიპები

სახელი, გვარი:

თარიღი:

უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ კითხვებს და ჩააბარეთ შევსებული ფურცლები მასწავლებელს, საკლასო ოთახიდან გასვლისას

1. **აღნიშნეთ განმარტება, რომელიც გენდერულ სტერეოტიპს შეესაბამება.**

   ☐ მოსაზრება ან შეხედულება, რომელიც ადამიანებს გააჩნიათ კონკრეტული ტიპის ადამიანებსა ან საგნებზე.

   ☐ მოსაზრება ან შეხედულება, რომელიც ადამიანებს გააჩნიათ ადამიანების მიმართ, იმის მიხედვით გოგონები არიან ისინი თუ ბიჭები.

   ☐ მოსაზრება ან შეხედულება, რომელიც ადამიანებს გააჩნიათ სხვა ადამიანების მიმართ, მათი ასაკიდან გამომდინარე.

   ☐ მოსაზრება ან შეხედულება, რომელიც ადამიანებს გააჩნიათ ადამიანების მიმართ, იმის მიხედვით თუ სად ცხოვრობენ ისინი.

2. **დაასახელეთ გოგონებთან ასოცირებული გენდერული სტერეოტიპების ორი მაგალითი**

   ა. გოგონები _____

   ბ. გოგონები _____

3. **~~დაასახელეთ ბიჭებთან ასოცირებული გენდერული სტერეოტიპების ორი მაგალითი~~**

   ~~ა. ბიჭები~~ _____

   ~~ბ. ბიჭები~~ _____

4. **აღწერეთ ერთი ზიანი, რომელიც შეიძლება გენდერულ სტერეოტიპს ახლდეს თან**

5. **შემოხაზეთ, სწორია თუ მცდარი შემდეგი წინადადება**

   გენდერული სტერეოტიპები ცვლილებას არ ექვემდებარება.

   სწორია **მცდარია**